შინაგან დაავადებათა მართვა და გერიატრიის საფუძვლები
მეცადინეობების თემატური გეგმა

კვირა	**თემის დასახელება**	**საათები**
I	გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების: კორონარული არტერიების დაავადებების სარქვლოვანი დაავადებების არითმიების მართვის პრინციპები. დაავადებების კლინიკური მანიფესტაციის სირთულის გაცნობიერება და შეფასება, დიფერენციული დიაგნოზი. მკურნალობის ძირითადი მიმართულებები, რაციონალური ფარმაკოთერაპია. შემთხვევების პრეზენტაცია. **კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება მოხდება თსსუ** –ის კლინიკური უნარ-ჩვევების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში – I მეცადინეობა: **"აუსკულტაციური მონაცემები გულ-სისლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს"** :გულის პათოლოგიური ტონები, ტონების გახლეჩა-გაორება, შუილები (სისტოლური და დიასტოლური) გულის სხვადასხვა მანკების დროს. **თემით განსაზღვრული მანიპულაციების ჩატარება:** • **გულის მოსამენისადგილებისდა მოსმენისთანმიმდევრობისდემონსტრირებასიმულატორზე,** • **გულის აუსკულტაციური მონაცემების ამოცნობა**	24აკად.სთ *4 აკად. სთ*
II	აორტის და პერიფერიული არტერიების დაავადებების მართვის პრინციპები. კარდიოგენული შოკი და ფილტვების შეშუპება. ფილტვისმიერი ჰიპერტენზია. კარდიოვასკულური კოლაფსი, გულის გაჩერება, უეცარი კარდიოგენული სიკვდილი. გულის სიმსივნეები და ტრავმები. გულის ტრანსპლანტაცია. დაავადებების კლინიკური მანიფესტაციის სირთულის გაცნობიერება და შეფასება, დიფერენციული დიაგნოზი. მკურნალობის ძირითადი მიმართულებები. რაციონალური ფარმაკოთერაპია. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების თავისებურებანი ხანდაზმულ ასაკში. შემთხვევის პრეზენტაცია. **შუალედური ჩათვლა.**	22აკად.სთ
III	პულმონარული დაავადებები: ფილტვების ინტერსტიციული დაავადებების, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების, პლევრის დაავადებების მართვის პრინციპები. ძილის აპნოეს სინდრომი. კისტური ფიბროზი. დაავადებების კლინიკური მანიფესტაციის სირთულის გაცნობიერება და შეფასება, დიფერენციული დიაგნოზი. მკურნალობის ძირითადი მიმართულებები. რაციონალური ფარმაკოთერაპია. სასუნთქი სისტემის დაავადებების თავისებურებები ხანდაზმულ ასაკში. შემთხვევების პრეზენტაცია. **შუალედური ჩათვლა.** **კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება მოხდება თსსუ** –ის კლინიკური უნარ-ჩვევების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში – II მეცადინეობა: **"აუსკულტაციური მონაცემები სასუნთქი სისტემის სხვადასხვა დაავადებების დროს და მათი რენტგენოგრამები":** სუნთქვითიხმიანობებისსიმულირება:ვეზიკულური-,ბრონქულ-ვეზიკულური სუნთქვა, კავერნოზული სუნთქვა, პათოლოგიური ბრონქული სუნთქვა, მშრალი ხიხინი, სველი ხიხინის სხადასხვა ტიპები, პლევრის ხახუნი. აუსკულტაციური მონაცემები ფილტვის შეშუპების დროს, სტრიდორი, პექტორილოქვია, ეგოფონია. სხვადასხვა პათოლოგიების შესაბამისი რენტგენოგრამების დემონსტრირება და შემთხვევათა განხილვა. **თემით განსაზღვრული მანიპულაციების ჩატარება:** • **ფილტვების მოსამენისადგილებისდა**	22აკად.სთ *4აკად.სთ*

	მოსმენისთანმიმდევრობისდემონსტრირებასიმულატორზე, • **ფილტვების აუსკულტაციური მონაცემების ამოცნობა**	
IV	გასტროინტესტინალური ტრაქტის დაავადებების მართვის პრინციპები. დაავადებების კლინიკური მანიფესტაციის სირთულის გაცნობიერება და შეფასება, დიფერენციული დიაგნოზი. მკურნალობის ძირითადი მიმართულებები. რაციონალური ფარმაკოთერაპია. ნაწლავის ანთებითი დაავადებები, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი. შემთხვევების პრეზენტაცია. **კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება მოხდება თსსუ** –ის კლინიკური უნარ-ჩვევების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში – III მეცადინეობა: **„მუცლის ღრუს ორგანოების პალპატორული მონაცემები სხვადასხვა დაავადებების დროს“.**მუცლის ტოპოგრაფია, ტოპოგრაფიულ არეებში ორგანოთა პროეცირება. პალპაციის სახეები. მუცლის ღრუს ორგანოთა პალპაცია. ზერელე და ღრმა პალპაცია. ღრმა პალპაციის ნაირსახეობები. პალპაციის ზოგადი წესები, პალპაციის ტექნიკა. მუცლის კედლის რეზისტენტობა, მტკივნეულობა, შებერვა, სიმსივნის ან რაიმე წარმონაქმნის არსებობა და მუცლის ღრუში სითხის არსებობა. მტკივნეული წერტილები. შჩოტკინ-ბლუმბერგის ნიშანი. **თემით განსაზღვრული მანიპულაციების ჩატარებასიმულატორზე**: • ნაწლავების ღრმა მცოცავი პალპაცია, თანამიმდევრობა (სიგმოიდური და დაღმავალი კოლინჯი, ბრმა ნაწლავი, თეძოს ნაწლავის ბოლო ნაწილი, აღმავალი კოლინჯი, განივი კოლინჯი). • მტკივნეული წერტილების დაფიქსირება (მაკ-ბერნის, ლენცის, კუმელის,). • ნაწლავის პერისტალტიკის ხმიანობისა და მუცლის ხმაურის (ყურყური) შეფასება. • ღვიძლის პალპაციის ტექნიკა, ღვიძლის პერკუსია. სციტის არსებობის პერკუსიით დადგენა. პათოლოგიის დროს ღვიძლის კიდის ძებნა (გადიდებული, გამკვრივებული ღვიძლი, ღვიძლის ზედაპირის მდგომარეობის დადგენა, ასციტის დროს ღვიძლის კიდის გასინჯვა). • ნაღვლის ბუშტის პალპაცია • მტკივნეული წერტილების დაფიქსირება ნაღვლის ბუშტის დაზიანების დროს. ბუშტის წერტილი, ქოლედოქოპანკრეასული ზონის დადგენა, დიაფრაგმის ნერვის წერტილი, გენო დე მიუსის ნიშანი. • კერის, მერფის, ორტნერის სიმპტომები, ფლუქტუაცია • პანკრეასის საპროექციო მიდამო, პალპაციის ტექნიკა • ელენთის პალპაცია, პერკუსია. **<u>რეტროპერიტონული ორგანო</u>** თირკმლის დაშარდის ბუშტის ტოპოგრაფია **თემით განსაზღვრული მანიპულაციების ჩატარებასიმულატორზე**: • თირკმლის პალპაცია. ბიმანუალური პალპაციის მეთოდიკა, თირკმლის ბალოტირება. • წერტილები (კოსტოვერტებრული, კოსტოლუმბალური, ჰიპოქონდრული, ზემო ურეთერალური, შუა ურეთერალური. • შარდის ბუშტის პალპაცია, შარდის ბუშტის მიდამოს პერკუსია. შარდის ბუშტის პალპაცია. • თირკმლის და შარდსაწვეთების დაზიანებასთან დაკავშირებული	22აკად.სთ *4აკად.სთ*

	მტკივნეული	
V	ფუნქციური გასტროინტესტინალური დარღვევები. საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სიმსივნეები. დაავადებების კლინიკური მანიფესტაციის სირთულის გაცნობიერება და შეფასება, დიფერენციული დიაგნოზი. მკურნალობის ძირითადი მიმართულებები. რაციონალური ფარმაკოთერაპია. საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების თავისებურებები ხანდაზმულ ასაკში. შემთხვევების პრეზენტაცია.	22აკად.სთ
VI	ღვიძლის ვირუსული, ტოქსიური, იმუნური, ქოლესტაზური, მეტაბოლური დაავადებების მართვის პრინციპები. პანკრეასის დაავადებების მართვის პრინციპები. დაავადებების კლინიკური მანიფესტაციის სირთულის გაცნობიერება და შეფასება, დიფერენციული დიაგნოზი. მკურნალობის ძირითადი მიმართულებები. რაციონალური ფარმაკოთერაპია. ღვიძლის, სანაღვლე გზებისა და პანკრეასის დაავადებების თავისებურებები ხანდაზმულ ასაკში. შემთხვევის პრეზენტაცია. **შუალედური ჩათვლა.**	22აკად.სთ
VII	თირკმლის დაავადებების კლინიკური ნიშნები. პირველადი, მეორადი გლომერულონეფრიტების, დიაბეტური ნეფროპათიის„ ტუბულურ-ინტერსტიციული ნეფრიტის მართვის პრინციპები. მჟავა-ტუტოვანი, სითხისა და ელექტროლიტების წონასწორობის დარღვევა, თირკმლის ცისტური დაავადებები, საშარდე გზების ინფექცია და ნეფროლითიაზი. თირკმლის მწვავე დაზიანება, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია. თირკმლის ქრონიკული დაავადება. გერიატრიული ნეფროპათია. დაავადებების კლინიკური მანიფესტაციის სირთულის გაცნობიერება და შეფასება, დიფერენციული დიაგნოზი. მკურნალობის ძირითადი მიმართულებები. რაციონალური ფარმაკოთერაპია. შემთხვევების პრეზენტაცია. **შუალედური ჩათვლა.** **კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება მოხდება თსსუ** –ის კლინიკური უნარ-ჩვევების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში – IV მეცადინეობა: **ჰიბრიდული სიმულაცია (შემაჯამებელი)** კლინიკური ამოცანების/ქეისების გარჩევა და მათი მიხედვით სიმულატორებზე გუნდური მუშაობის წარმართვა.	23აკად.სთ *3აკად.სთ*
VIII	ართრიტები და რევმატული დაავადებების მართვა. რევმატოიდული არტრიტი, ოსტეოარტრიტი, როგორც გლობალური პრობლემა, სპონდილოართროპათიები, ვასკულიტები დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, მკურნალობის თანამედროვე მიდგომები. დაავადებების კლინიკური მანიფესტაციის სირთულის გაცნობიერება და შეფასება, დიფერენციული დიაგნოზი. მკურნალობის ძირითადი მიმართულებები. რაციონალური ფარმაკოთერაპია. სახსრებისა და შემაერთებელი ქსოვილის სისტემური დაავადებების მიმდინარეობის თავისებურებები ხანდაზმულ ასაკში. შემთხვევის პრეზენტაცია. **შუალედური ჩათვლა.**	22აკად.სთ
IX	გერიატრია და გერონტოლოგია. გერონტოლოგიის და გერიატრიის შესწავლის საგანი. გერიატრიის ძირითადი საფუძვლები. სიბერის თეორია. ხანდაზმულთა ფიზიკური, მენტალური და ემოციური პრობლემები.გერიატრიული სინდრომები: უმოძრაობა, წაქცევა, სენსორული ფუნქციის დარღვევები, შეუკავებლობა, ცნობიერების დაბინდვა, დელირიუმი, დემენცია, დეპრესია. მედიკამენტური მკურნალობის პრინციპები, ხანდაზმულთა მკურნალობისას რისკის შეფასება და მართვა. იატროგენული დაავადებები. სიკვდილთან	30აკად. სთ

	დაკავშირებული ასპექტები (ინფორმირებული თანხმობა, თანამედროვე შეხედულებები, ბუნებრივი სიკვდილის აღიარება, “რეანიმაციაზე უარის” (Do Not Resuscitate). დირექტივა. შემთხვევების პრეზენტაცია.**შუალედური ჩათვლა.**	**სულ 224 სთ**

საბოლოო ჩათვლა.